



მემორანდუმი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრსა და
სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის
ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ნოემბერი, 2013 წელი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი, წარმოდგენილი დირექტორის თინა ქარსელაძის სახით და სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს წარმოდგენილი რექტორის თეონა ხუფენიას სახით, აღიარებენ რა ორმხრივ ინტერესს, ხელი შეუწყონ იურიდიული განათლების სფეროში, ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრთან თანამშრომლობით, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვას, ადვოკატებისა და სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებას, პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით მხარეები, თავისი კომპეტენციისა და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად, ადგენენ ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებს.

მუხლი 2.

მხარეთა თანამშრომლობის მიზანია:

- ა) სტუდენტების დახმარება ხარისხიანი იურიდიული განათლების მიღებასა და თვითრეალიზებაში;
- ბ) ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ინსტიტუციონალური განვითარებისთვის ხელშეწყობა;
- გ) სტუდენტების სამართლებრივი მართლშეგნების ღონის ამაღლება;
- დ) გამოცდილების გაზიარება და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- ე) ერთობლივი პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება.

მუხლი 3.

მხარეთა შორის თანამშრომლობა განხორციელდება შემდეგი ფორმით:

- ა) სტუდენტებს მიეცემა საშუალება მონაწილეობა მიიღონ ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ ადვოკატებისთვის ორგანიზებულ სემინარებში/ტრენინგებში;
- ბ) ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრს მიეცემა საშუალება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ჩაატაროს ერთობლივად დაგეგმილი საგანმანათლებლო ღონისძიებები.

მუხლი 4.

მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობის დამატებითი მიმართულებები და ფარგლები შესაძლებელია განისაზღვროს მემორანდუმის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებებით.

მუხლი 5.

წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

მუხლი 6.

მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 7.

მემორანდუმში ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.



მუხლი 8.

მემორანდუმში შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები:

ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი მის: ძმები ზუბალაშვილების ქ. №33 ს/კ 202255692 0108 თბილისი, საქართველო ტელ: (+995 32) 2 987878 www.gba.ge www.edu.gba.ge	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ქ. ზუგდიდი ჯანაშიას №14 სს თიბისი ბანკი კოდი: TBCBG22 ანგ.№GE04TB7871136080100020 ს/კ 220407888 www.zssu.ge
---	--

მხარეთა ხელმოწერები

ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი  თინა ქარსელაძე	სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი  თეონა ხუფენია
---	--

